...ტამბა და რედაქცია
...ილისი, სასახლის ქ.,
...-აზნაურო ქარვასლა
...ხმომწერნი გაზეთის დასაკვე-
...მამართავენ რედაქციის დილის
...3 საათამდე და საღამოს 6—7
...ჭ. ქ. საზ." წიგნის მაღაზიას.
...დაუწერავ წერილებს რე-
...დაქცია არ ბეჭდავს.

...პირ მოლაპარაკება რედაქ-
...რთან შეიძლება ყოველ დღე.
...ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან. [illegible]
თვით 60 კაპ. [illegible]
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ხვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363



წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ღირება 4 მან. და 50 კ.,

!!მიაქციეთ ყურადღება!!
გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალოვის სახლებში
ამ ცოტა ხანში გაიხსნება

ჩინეთის მაღაზია

ვინც ჩაის იყიდის იმას **ნობათად** მიეცემა რაიმე ნივთი. ვინც
...იყიდის 12 მან. ჩაის თუნდაც სხვა და სხვა დროს, 2 მან. იმას
...საჩუქრად მიეცემა ჩაის ყოველივე მოწყობილობა. (100—5)

ექიმი **ი. ა. იგოკიელოვი**
მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი], საშარდეს
... და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით
...—12 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ.
...მოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის **12—1** საათ.
აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახვე-
...ა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.
...ანოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—16)

ქართ.-შორ. წერა-კითხვის გა-
მავრცელებელ საზ. გამგეო-
ბამ მიიღო ბ-ნის გუბერნა-
ტორისაგან ნება-რთვა გამართოს
საზოგადოების სასარგებლოდ
სახალხო სეირნობა საქველ-მოქ-
მედო ბაზრითურთ. სეირნობა
და ბაზარი გაიმართება მაისის
...დამდეგს. ვისაც სურს დახმარება
...აღმოუჩინოს ბაზრის გამართვას,
...თავის შემოწირულება უნდა გა-
...მოუგზავნოს ტფილისში კნ. ოლ-
...ღა თადეოზის ასულს ჭავჭავაძი-
...სას,(ნიკოლოზის ქუჩა, № 21).
(3—1)

მკურნალო და ამბულატორია
**ბ. თოფურიასი**
ქუთაისში.
...მკურნალოში 50 საწოლია ავად-
...მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-
ნი შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
გიოსა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
...გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
...ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
...საათიდგან ნაშუადღევის 3 საა
...თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია**. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს **ფ. ქ. ბერრატი**.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი **მ. თ. ძოგანი**.
თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. მარშავსკი**.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საექიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია**

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.


## ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების

გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ბ-ნმა ფინანსთა მინისტრმა დამტკიცა ამა საზოგადოების საბჭოს შუამდგომლობა, რომლითაც, წესდების მე-17 §-ის შესავსებლად საზოგადოებას შემდეგი უფლებანი ეძლევა:

პუნქტი **9**. მიიბაროს სა-[illegible] თა და დაწესებულებათაგან ფული სარგებლის მღევით, როგორც უვადოდ, ისე ვადით და მიმდინარე ანგარიშით, სხვა-და-სხვა პირობით, ისე-კი, რომ ბილეთი ანუ მოწმობა ფულის პატრონთ მხოლოდ სახელდებული მიეცეთ, უფლება არა ჰქონდეთ სხვაზედ გარდაცემისა და ას მანეთისაზედ ნაკლებისა არ იყოს.

შენიშვნა. თუ ვინიცობაა საზოგადოებამ მოსპო მოქმედება საზოგადოების წევრთ მათ მიერ შეტანილი ფული დაუბრუნდებათ მხოლოდ მაშინროდესაც გარეშეთაგან შეტანილი ფული იქნება სავსებით გარდახდილი.

პუნ. **10**. დააგირაოს საკუთარი სარგებლიანი ქაღალდები (სახელმწიფო ანუ მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილი) სხვა საკრედიტო დაწესებულებაში და გადააგირავოს ის სარგებლიანი ქაღალდები, რომელიც საზოგადოებას გირაოდ აქვს აღებული კერძო კაცთაგან, პატრონთა ნება-ყოფლობით, ხოლო ისე-კი რომ გადაგირავებულ იქმნას იმ ფულზედ არა მეტად, რამდენიც თითონ აქვს საზოგადოებას იმ გირაოზედ მიცემული.

პუნ. **11**. გადააგიraos სხვა საკრედიტო დაწესებულებაში, პატრონთა ნება-ყოფლობით, გირაოდ მიღებული სახლონელი და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებნი, ისე-კი, რომ გადაგირავებულ იქმნას იმ ფულზედ არა მეტად, რამდენიც თითონ საზოგადოებასა აქვს იმ გირაოზედ მიცემული სესხი და იმ პირობის დაცვით, რომელიც დადგენილია „საკრედიტო წესდების" [1893 წ. გამოც. კანონთა კრებულის მე-XI ტ. მეორე ნაწ.) მეათე განყოფილების მე-10 მუხლში.

(3—3)

## ახალი ამბავი

*** სა ტფილისის გორის მაზრის წარმომადგენელთა ბანკში. ამორჩეულ იქმნენ: 1) ბარათაშვილი თ. ი. გ., 2) ჯამბაკურ-ორბელიანი თ. გ. ი., 3) არღუთინსკი-დოლგორუკი თ. ნ. ვ, 4) ისარლოვი მ. პ., 5) ქართველოვი გ. გ. 6) ბებუთოვი თ. ა. ი., 7) ზავრიევი ზ. ს., 8) ჩერქეზიშვილი თ. ვ. ნ., 9) სუმბათაშვილი თ. ა. მ., 10) ჯომარჯიძე, თ. გ., 11) გურამიშვილი თ. დ. ა , 12) ენიკოლოფოვი დ. ა., 13) ყორღანოვი ი. ს., 14). ბაგრატიონ-მუხრანსკი თ. დ. ი., 15) ჩერქეზიშვილი თ. ს. ი., 16) მაღალაშვილი გ. გ., 17) საგინაშვილი რ. ი., 18) ყავრიშვილი ნ. ი.

გორის მაზრაში: ხმის მქონე იყო 39, და ამორჩეულ იქმნენ: 1) ბაგრატიონ-დავიდოვი თ. გ. ა., 2) ამირეჯიბი თ. მ. ქ., 3) ერისთავი თ. ნ. ბ., 4) ვეზირიშვილი თ. გ. დ., 5) ქურული გ. დ., 6) ყიფიანი პ. ი., 7) სულხანიშვილი ი. დ., 8) თარხანმოურავი თ. ი. რ., 9) ერისთავი თ. კ., ა. 10) ფურცელაძე კ. ლ., 11) ამირეჯიბი თ. კ. მ., 12) მამაცაშვილი ზ. ი., 13) ამირეჯიბი თ. რ. თ., 14) მაჩაბელი თ. ვ. გ., 15) ერისთავი თ. რ. შ., 16) ალექსი-მესხიშვილი ნ. ი., 17) ამირეჯიბი თ. ს. ს., 18 მუსხელიშვილი დ. ი., 19) პაპიტაშვილი გ. ნ., 20) განძიელი გ. ს., 21) ციციშვილი თ. დ. დ., 22) ფავლენიშვილი ვ. ი., 23) აბაზაძე ა. ლ., 24) ფურცელაძე ქ. ს., 25) მირზაშვილი ა. ნ., 26) მაჩაბელი მ. ვ., 27) აბაზაძე ნ. ლ., 28) ციციშვილი თ. ნ. ი., 29) ვეზირიშვილი თ. ს. ნ., 30) დიასამიძე, თ. გ. ნ., 31) ერისთავი თ. მ. რ., 32) ამილახვარი თ. დ. ლ., 33) ტარსაიძე გ. ა., 34) ჯ[illegible]

შვილი თ. ა. ი., კანდიდატებად: 1) ყიფიანი კ. დ., 2) ამილახვარი თ. ა. ი., 3) ერისთავი თ. ა. გ., 4) ნაცვლიშვილი დ. მ., 5) ანანიაშვილი ა. დ., 6) კილატოზიშვილი ა. ა.

*** **წერილი ტფილისის ბანკის არჩევნების გამო.** კავკავის გაზეთ „ყაზბეგში“ № 430-ში დაბეჭდილია ვილაც «Закавказскій»-ს წერილი, ეხლანდელი არჩევნების გამო სათავად-აზნაურო ბანკში. წერილის ავტორი მეტის-მეტად მწარედ და გესლიანად დასცინის ეხლანდელ არჩევნებს, რომელშიაც 5 კაცი ირჩევს 105-სა და სხვა. წერილის ავტორი ეჭვი არ არის მოტრფიალეა წინანდელი არჩევნებისა და იმ სასტიკი ბრძოლისა, რომელმაც შექმნა დღევანდელი ეგრედ წოდებული „წარმომადგენლობა“.

*** **სახალინზე მცხოვრებთა ქართველების ჩივილი.** ჩვენ მივიღეთ კუნძულ სახალინზე გადახვეწილ ქართველებისაგან შემდეგი წერილი: „ბატონო რედაქტორო! გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით ააწყოთ ჩვენს მოძმეთ, რომ ერთად-ერთს სიამოვნებას ჩვენი ქვეყნის ავ-კარგის ცოდნას მოკლებულნი ვართ, რადგან გაზეთი „ივერიის“ მეტი არც ერთი ჟურნალ-გაზეთი არ მოგვდის, თუმცა შარშან კი ყველას ვღებულობდით; ამიტომ გთხოვთ შეგვიმსუბუქოთ ჩვენი ისედაც მწარე ხვედრი და მოგვაწოდონ ყველა რედაქციებმა თავ-თავიანთი გამოცემანი. განსაკუთრებით გთხოვთ „ცნობის ფურცელი“ გამოგვიგზავნოთ, როგორც ჩვენისთანა უსწავლელისათვის უფრო გასაგები, აგრეთვე ჟურნალი „კვალი“, „მოამბე“ და „მწყემსი“ და აგრეთვე ქართული წიგნებიც ჩვენი ადრესი: Ост, Сахалинъ. Александровскій Постъ. Грузинская Читальня. ამ წერილზე ხელს აწერენ ათიოდე კაცი.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ არც რედაქციები და არც კერძო პირები არ დაიშურებენ თავიანთ გამოცემებს და შეძლებისა დაგვარად მიაწვდიან ნებითი და უნებლითნი უბედურებს.

*** **მოსკოვის ქუჩის (ხევის) გაწმენდა.** საზოგადოდ ზამთარ-ზაფხულობით მოსკოვის ქუჩა ან როგორც ეძახიან „ბალკა“ მეტის-მეტად გაბინძურებულია ხოლმე. ეხლა ამ ქუჩის მცხოვრებთ თხოვნით მიუმართავთ ქალაქის გამგეობისათვის გადაიტანეთ ის ხის დუქნები, რომელნიც ისედაც ჰუჟყიან ქუჩებს აფუჭებენო. ქალაქის გამგეობასაც შეუწყნარებია ეს თხოვნა.

*** **კ. მუხრან-ბატონის და ა. აბაზაძის დავის გადაწყვეტა.** ჩვენს მკითხველებს ეხსომება, რომ ამ ნახევარის წლის წინად აგრონომმა ა. აბაზაძემ უჩივლა კ. ი. მუხრან-ბატონს მოურავად ვიყავ მასთან და უმიზეზოდ დამითხოვა, რითაც პირობა დაარღვია და ამიტომ 17,000 მან. უნდა მიზღოსო. საოლქო სასამართლომ გაარჩია რა ეს საქმე, მართლაც აბაზაძეს სასარგებლოდ გადაწყვიტა. მუხრან-ბატონის ვექილმა გადაიტანა ეს საქმე სამოსამართლო პალატაში და იქაც საქმე გადაწყდა აბაზაძის სასარგებლოდ.

*** **ახალი წიგნი.** ჩვენ მივიღეთ ქართველ ქალებისაგან გამოცემული, ეგრედ წოდებული სახალხო წიგნი № 11, რომელშიაც მოთავსებულია ჩვენი დიდებულის პოეტის თავ. ილია ჭავჭავაძის საუკეთესო პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი და შეიცავს 38 გვერდს და შედარებით იაფიც არის, ღირს ერთი შაური.

*** **სამეგრელო. კიდევ „სამეგრელოს მეაბრეშუმეთა შუამავლის ამხანაგობის“ ანგარიშის გამო.** მადლობა ღმერთსა, როგორც იქმნა ძლივს-ძლივობით და დიდის ხვეწნა-ვედრების შემდეგ წავიკითხეთ „ივერიის“ მე-280 №-ში სამეგრელოს მეაბრეშუმეთა ამხანაგობის“ ორის წლის მოქმედების ანგარიში. როგორც სარევიზიო კომისიის წევრნი თავის ანგარიშში აცხადებენ, თითქმის ყოველი ავ-კარგი ჩვენის „შუამავალი ამხანაგობისა“ წერტილიდან-წერტილამდე აღუნუსხველი აღარა დარჩენიათ რა, რისთვისაც მადლობის ღირსნი არიან, რადგანაც ათასის ჭორების ასაცილებლად გამოაცხადეს ანგარიში. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ მოწოდებული ორი თუ სამი კაცის მეტმა, სხვა წევრმა რალა დაამავა ანგარიშის დროს, სწორედ ვერ გაგვიგია? მაშინ, როდესაც თუ მეხსიერება არა მღალატობს, ჯერ წევრთა საზოგადო კრება არა ჰქონიათ. ჩვენის აზრით, უკეთესი იქნებოდა და მართებულობაც მოითხოვდა, რომ წევრთა საზოგადო კრება ყოფილიყო და ყოველი ავ-კარგი „შუამავალ ამხანაგობისა“ წევრებს მოესმინა. იქნება გამგეობამ და სარევიზიო კომისიის წევრებმა სთქვან: აკი ჩვენ გაზეთში გამოვაცხადეთ ანგარიშიო. კეთილი და პატიოსანი! მაგრამ უბედურება ის არის, რომ ყველა წევრები ვერ ეღირსებოდა იმ ანგარიშის ცნობას „ივერიაში“. ამიტომ ძალიან კარგი იქნებოდა წევრთა მოწვევა და მათთვის მოსმენა იმ ანგარიშისა, რომელიც „ივერიის“ 280 №-ში გამოაცხადეს. ჩვენ გვინდოდა პატივცემულ მკითხველებისთვის დაგვენახვებინა სიტყვა-სიტყვით გარდაგვეღო ისე, როგორც სარევიზიო კომისიის წევრნი „ივერიაში“ აცხადებდნენ, მაგრამ გაზეთში უადგილობისა გამო და სიდიდისა, დავანახვებ მკითხველებს უმთავრეს დედა აზრს, ორის წლის მოქმედებას ციფრებით. 1897 წლიდან დღევანდლამდე წევრად ჩაწერილა მხოლოდ 132 წევრი. წარსულისა და მდგომარე წლის (1897—1898 წ.) ანგარიშების განხილვით სარევიზიო კომისიის წევრთ დაუნახავთ, რომ საწევრო საამხანაგო ფული 1897 წლის ივნისიდან დღევანდლამდე შემოსულა 1896 მ. წმინდა მოგება ფულად პარკის ყიდვა-გაყიდვით ამ ორის წლისა ჰქონია 1115 მ. სრულად საწევრო და მოგება ფულად ამხანაგობის კასაში ყოფილა დღეს 3011 მ., ამასთანავე ამხანაგობას ვაჭრობის ხელის მოსამართავად აქა იქ ფულები უსესხნია და შემდეგ სარგებლით გადაუხდია ვალი. როგორც ამ ანგარიშებიდან სჩანს, ჩვენის საყვარლის პოეტის აკაკისა არ იყოს: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“... მაგრამ კარგად გამოღვიძებას ნეტავ შევესწრებით? რისთვის და რატომ? ამას ქვემო წაიკითხავთ. ასეა თუ ისე, სარევიზიო კომისიის წევრთა ანგარიშმა დაგვანახვა, რომ გამგეობას ცოტ-ცოტათ, რაღაც უმოქმედნია, მაგრამ თუ უდიერობით არ ჩამომართვეს ეს მოქმედება ზღვაში წვეთის მიმატებაა იქ, სადაც ადგილობრივ ნაწარმოებს, როგორც თაფლს ფუტკარ-ჭინჭველა, ათასი ჩარჩ-ვაჭრები გარს ახვევია. უკეთუ ეს ამხანაგობა, მართლა სამეგრელოს ნაწარმოებს კონკურენციას უწევს სომეხ-ურია-ბერძნების და მათ გაიძვერულ ხრიკ მოქმედებას, რომლებიც თავიანთს გემოზედ ყიდულობენ ადგილობრივ ნაწარმოებსა, იმ შემთხვევაში საჭიროა და დიდად საჭირო, რომ გამგეობამ ბლომად მოიწვიოს წევრები და ეცადონ მათ გამრავლებას, თორემ მარტო რაღაც 3011 მანეთით ვერაფერს გააკეთებენ და ვერც იმ ფონს გავა, რომლის გასვლა მათ ასე ჩქატედ და იაფად მიაჩნია. დარწმუნებული ბრძანდებოდეს გამგეობა, რომ თუ ძირითადი თანხა არ გააფართოვა ისევ სომეხ-ურია-ბერძნების გემრიელი კერძ-ლუკმა იქნება ადგილობრივი ნაწარმოები და ისევ ის დღე დაადგება ხალხს, რაც ეხლა ადგია მათის თვალთ-მაქცობით. ერთის სულითა და გულით ვურჩევ გამგეობას, უპირველეს ყოვლისა, ეცადოს წევრთა გამრავლებას, თორემ ვიმეორებთ, ასეთი პატარა თანხით ვერაფერს

გააკეთებენ. იქნება ეს ჩვენი გუ
წრფელი რჩევა
მიიღონ, რადგანაც შარშან
ჩვენ, რამდენიმე კეთილი რ
მივეცით *), მაგრამ წარმოიდგი
ჩვენი განცვიფრება, როდესაც ე
მა. პატივცემულმა წევრთაგა
იმავ წელს, ე. ი. 1897 წე
„ცნ. ფურც“. ჩვენს კეთილ
ვას სულ სხვა თვალით შეხედა
ასე წარმოიდგინეთ, ჩვენ ვი
წინაამდეგი ვიყვნეთ „შუამ
ლი“ ამხანაგობის დაარსებისა. ჩ
რომ წინაამდეგი არ ვიყავით
არც დღესა ვართ იმის დაარს
სა, შემიძლიან დავუმტკიცო
თომა წევრს, რომელმაც ალ
მართალს ამ გვარი ცილი შემ
გადაავლოს თვალი ბ. წევრმ
ორის წლის „ივერიის“ და „
ფურც“. №№ ში და მისი ბედ
რი თვალი იქ წაიკითხავს ჩ
პატარ-პატარა წერილებს, თუ
დენად მონატრულნი ვიყავით
გვარი „ამხანაგობის“ დაარსებ
ნუ დაავიწყდებათ ქართული ა
ზა ნათქვამია: „მოყვარეს პი
უძრახვენ, მტერს პირს უკანა“
ეხლაც ვიტყვით, თუნდ
„სულთათანა განუსვენეც“
მითხრან: ეს ამხანაგობა უფ
კერძო დაწესებულებას ჰგავს,
რე საზოგადოებისას, რადგა
ორის წლის განმავლობაში მ
ლოდ საწევრო ფული შემოს
1896 მანეთი, ან და საზოგად
ბა არ თანაუგრძნობს, თორემ
ტომ მეტი არ შეგროვდა ფ
და ან წევრთა რიცხვმა რის
არ იმატა? 3011 მანეთი, რო
ლიც ამხანაგობის კასსაში ა
ამით ხომ ვერაფერი გაკეთდ
ალბათ ჩვენს ამხანაგობას რიგ
მოთავე კაცი არ ჰყოლია და
ნება მიზეზი ეს იყოს, თორემ
მე უკეთ წავიდოდა, როგ
სხვაგანაა წარმართული ასეთ
ხანაგობა. გამგეობას უნდა ჰყა
სამეგრელოს დაბა-სოფლებში
აგრეთვე სხვაგან აგენტები და
მედო პირები, რომლებმაც
ეცადონ წევრები იშოვონ და
ამრავლონ. ასეა ყოველგან
რი დაწესებულება და ჩვენ
ასევე უნდა იყოს. გამგეობა
თავის დროზედ, გაზეთებში
აცხადებდეს თავის მოქმედებ
კარგს და გაზეთისავე საშუალ
იწვევდეს წევრებს ამას წ
საზოგადო ყრილობას ახვე
რათა დაანახვოს წევრებს,
მათ არა სძინავთ, პირ-იქით
დინეობს, მხნეობს შეძლები
გვარად. უკეთუ ზემოთ თქმ
და იმაზედ უკეთესს აზრს მო

*) ის ჩვენი რჩევა, თუ რამდენ
სარგებლო იქნებოდა ამხანაგობი
იმას ჩვენ შემდეგში ვიტყვით, რო
ჭიროება მოითხოვს...

...ა ამხანაგობა იქ მისი მოქმე-
...უნაყოფოა, მალე საიქიოსა-
...არემართება. კიდევ და კი-
...ვიტყვით, რომ გამგეობას
...ენერგია მართებს ამ საქმეში.
...მინ ისახელებს თავს, როდე-
...ეს პირველად დაწყებული
...საზოგადო ნაყოფს გამოი-
... ამასთანავე საჭიროა ამხა-
...ამ შეიძინოს სალი აბრეშუ-
...ესლი და გაავრცელოს სამე-
...ოს სოფლებში. ჩვენი ამხა-
...ბა უძლურია, წელში არ არის
...თული, თორემ სამეგრელოს
...სოფლებში არც ამდენი სხვა
...ის ხალხს ექნებოდა აბრე-
...ს ქიის სარჩობი და გასახ-
...ვეებერთელა „სარაიები“, რა-
...საც ეხლა ვხედავთ. იმედია,
... „შუამავალი“ ამხანაგობის
...ობა და მათი კომისიის წევ-
... ყოველსავე ჩვენგან ზემო
...ლს, სახეში მიიღებენ და
...რჩევმს კვლავ ზიზილ-პიპილ-
...ვებად არ ჩამოგვართმევენ.

ტელეფონი

**კაჩრეთი.** (ქიზიყი) დაქვეა-
...როგორც სწავლა-განათლე-
...მიუდებელს, და შორით მის
...ოთაგან ორთქლ მიდენილ
...ს გული მიკვდება, როდესაც
...ძანდებიან ხოლმე ადგილობ-
...ამა ჩვენს და მახლობელ ჩვენს
...ბელ სოფლებში ჩვენი ბბ.
...ლის მაზრის უფროსი და ად-
...ბრივი ჩვენი ბოქაული აძ-
...ნ რჩევას სკოლების დაარსე-
...ე, თანაც ჰპირდებიან მთავ-
...სთან შუამავლობას, რომ ნა-
...ი სკოლის ხარჯი და მოთ-
...ილება მთავრობა შეავეწიოს,
...ამწუხაროთ ესენი კი გონება-
...ულნი სულ ერთ ხმად
... სამწუხაროდ განუსჯელათ
...ხიან: „არ გვინდა სკო-
... და არ გვინდა სკოლაო“!!
...ულობით შევიწროებული ხალ-
...როთ და ვერ შევძლებთო. მარ-
...ია ესეც სათქმელია, რომ
...ლობაც და ენით ჩამოურიცხველ
...ავ-ვაებას და უმამულობით
...რროებას იტანს ეს ჩვენი სა-
...ნო გლეხ-კაცობა, მაგრამ ნა-
...ძია „აქიმი ავადმყოფსაო“ —
...ომაც არის ჩვენთვის საჭირო
...ო, რომ ჩვენ ჩვენის პირით
...ნით შევეძლოს ჩვენი ჭირ-
...ტის სხვასთან გაზიარება,
... ხმა მოგვაწვდინოს ვინმე,
...მ ვინც ხალიჩაზე ბძანდება,
...რა თავი სტკივა სკოლისა=
... ვსწუხვარ და ვსწუხვარ და
...ებ ბევრი წამკითხველიც თანა-
...ანობს, რომ ყოველ მხარეს
...ფეხი აიდგა სწავლა-განათ-
..., და ჩვენ კი ეს ოთხიოდ-
...მეზობელი სოფლები დახშუ-
...გონებით გავიძახით ოლოლი-
ვით: „არ გვინდა სკოლა, არა და არა“!! რა ვეღარა გააწყო-რა ჩემმა მარტო ხმობამ, ვლონისძიობ ამ ერთად-ერთს ზომიერებას-ღა, რომ ყველა თანამგრძნობს ვთხოვოთ თავდაბლად: თითო-ოროლა წიგნი მოგვაწოდოთ, ვისაც ხელი მიუწვდებათ, გადასაცემად თითო-ოროლა სახლში წიგნის მიმდევარ ბავშვებისთვის, აგები ამ საშუალებით მაინც მოვხიბლოთ და შემდეგისთვის მაინც დაიბადოს ჩვენშიაც სკოლის მსურველთა დასი.

კაჭრეთელი გლეხი.

*** **ხაშური.** მგალობელთა გუნდი. იმ დღეს აქეთ რაც ხაშურის რკინის გზის ეკკლესია შეაკეთეს და თან აკურთხეს სუყველისფრით კარგათ და თვალსაჩინოთ მიმდინარობს ამ ეკკლესიის კეთილდღეობა; ჩვენ ხაშურის რკინის გზის მოსამსახურებს თითქმის განუწყვეტლივ გვაქვს თავ-თავის დროზე წირვა, რომელსაც დღემდის მოკლებული ვიყავით და სხვის ხელში შემჩერო, მაგრამ ახლა მადლობა ღმერთსა, მოძღვარიც კარგი გვყავს და ეკკლესიაც მოსაწონათ შემკობილია ყოველის-ფრით. აქამდისი თუ მარტო რუსულ ენაზედ იყო ამ ეკკლესიაში გალობა, ახლა კი ქართულადაც გალობენ, აი მაგალითები: ეკკლესიაში მარჯვნივ მხარეზედ დგანან რუსულ ენაზედ მგალობელთა გუნდი, რომელსაც ლოტბარობას ბ. კსენაფონტოვი, ხოლო მარცხნივ მხარეზედ ‚კლიროსზედ‘ დგანან ქართველთა მგალობელთა გუნდი. ერთიც და მეორეც თავ-თავის დროზედ იწყებენ გალობას, ქართულ ენაზედ მგალობელთა გუნდს, ლოტბარობს ბ. იოსებ კვალიევი. ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ, მიუხედავად იმისა, რომ სულ მცირე დროა რაც ბ. კვალიევმა დაიწყო მზადება ქართულ გალობის, მაგრამ მაინც მშვენივრათ და დაწყობილ კილოზედ გალობენ და მოსაწონიც არის. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თუ ასე პატარა ხნის მეცადინეობით კარგად გაიწვრთნენ ქართული მგალობლები, შემდეგისთვის ბევრად უკეთესი იქნება. ვუსურვებთ ამ მეცადინეობას უნაყოფოთ არ ჩაევლოს.

ხანაველი

## ნიშნები და ჩვეულებანი.

ვისაც კბილები გრძელი აქვს, ბოროტი, ლოთი, მაჰანკალი და კაცის მკვლელი იქნება, თუ სხვილი, შორ-შორ ჰქონდეს—მეშრუშე, ცრუ და მასხარა იქნება.

ვისაც ენა მსხვილი აქვს, სიგლეხისა და ღარიბობის ნიშანია. ვისაც პატარა ჰქონდეს წითელი წვერი, ალერსიანი და ქონების პატრონი იქნება. თუ მსხვილი ყბა ჰქონდეს—მოლაყბე, მოლაშქრე იქნება. ვისაც ზომიერი ყბა ჰქონდეს—გონიერი და მოსამართლე იქნება. ვინც უმიზეზოდ ცუდად ახველებდეს, ანუ თავს აქნევდეს, ეს არას გაიგონებს და გიჟიც არის. ვინც მალ-მალე იცინოდეს, ჭკუაზედ თხელი არის. ვინც ხმა-მაღლა იცინოდეს, ხერხიანი და ძლიერი იქნება. თუ გრძელი ყბა ჰქონდეს ცხენის თავსავით, ჯავრიანი და ძალუმი გლეხური აგებულება ექნება. ვისაც სულ პატარა წვრილი ყბა აქვს, სჯობს ყველა კაცი დაერიდოს, ბოროტი გლეხის მზგავსი იქნება. ვისაც ლაბაბი ჩამოსრული აქვს, ქალაჩუნა და მემრუშე არის, წვერთხელი კაციც მემრუშეა. ვისაც ზომიერი წვერი აქვს,—გონიერია. ვისაც ქოსა წვერი აქვს—გიჟობისა და სიცრუის ნიშანია. ვისაც მსხვილი კისერი აქვს, ძლიანი მამაცია. ვისაც მსუქანი კისერი აქვს, შურის მძიებელია. თუ გრძელი და წვრილი კისერი აქვს, მშიშარაა. ვისაც გრძელი მკლავი აქვს, მუხლებამდის უწევს, რიგიანი, ძლიერი, მეცნიერია, მისი გონება ხელმწიფობისა იქნება. თუ მკლავი მოქვენიმდის ეწიოს, მძრახავ მგმობელია, სხვისი ზიანის მდომელია; თუ ზომიერი აქვს, სიკეთის ნიშანია. თუ მკლავს ხშირი ბალანი აქვს მემრუშეა, თუ ზომიერი აქვს, სიკეთეა. ვინც ლაპარაკში თავს და მკლავს თან ატანდეს, მოლუბე, ანჩხლი, ინადით სავსეა. ვისაც ფართო მკერდი აქვს, ძლიერ მამაცი იქნება. თუ მკერდს ჯვარსავით სახე აქვს, ხელმწიფობის ნიშანია და შებმაში გაიმარჯვებს საფრანგეთის ხელმწიფეს ამისთანა ნიშანი ჰქონდა და გამარჯვებული შეიქმნა. თუ ზომიერი მკერდი აქვს, ჭკუიანია და მესაიდუმლე. ვისაც ვიწრო მკერდი აქვს, უპატიობის და ბრიყვობის ნიშანია. თუ დიდი ძუძუები ჰქონდეს, მამაცი, კარგი მოლაშქრე და დიდი საქმის მოფიქრალი იქნება. მარჯვენა ბეჭზედ ჯვარივით რომ ჰქონდეს, იმისთანა არავინ იქნება. თუ მუცელი მსხვილი ჰქონდეს, ამპარტავანი, კოხტა, მემრუშეა. ვისაც მსხვილი და მოკლე მუცელი აქვს, ცოტას იცოცხლებს უჭკუობითი. თუ ზომიერი მუცელი აქვს, ცოფისა და ბედნიერობის ნიშანია. თუ წვრილი წივი აქვს, უცოდინარი იქნება. თუ ერთობ მსხვილი წივი აქვს, ურიგო, მამაცი იქნება. თუ ზომიერი წივი აქვს, კარგის ნიშანია. თუ წივზე ხორცი რბილი აქვს, ყოველ სიკეთეზე მეტი იქნება. თუ ფეხი დიდი ჰქონდეს, საყდრისა და ლოცვის მოძულე იქნება. თუ ფეხი გასივებულსავით პატარა ჰქონდეს, ორგული და მოღალატეა. თუ განიერი ფეხი აქვს, მოძვირე და ხარბი იქნება. ვისაც გრძელი და წვრილი ფეხი აქვს, არ ვარგა. თუ ზომიერი ფეხი აქვს, ღვთის მოშიში და კარგი იქნება (ლოცვის მოყვარული და კაცთა მასიამოვნე) თუ ფეხი ზომიერი და მოწითალო ჰქონდეს, ცოდვის მომრიდალე, მადლის მოყვარე და მლოცველი იქნება. თუ ფეხი სულ პატარა აქვს, მისი აგებულება ცხელი იქნება. შობიდან რომ კოჭლი დაიბადოს, სიბოროტის ნიშანია. ლაპარაკში რომ თავს, თვალ-წარბს და ხელს თან ატანდეს და ახველებდეს, ღმერთმან ნუ ჰქნას იმისთანა კაცი ამისთვის, რომ წმიდა ბასილი და ივლიანე ყმაწვილობაში ერთად იყვნენ და სწავლულობდნენ, როცა ლაპარაკს დაიწყებდა, ივლიანე ასე შვრებოდა და იყივლა ქათმის ხმით. სთქვა წმიდა ბასილმა: „ვაიმე, ძმაო, რა გველეშაპი გვეზრდება“. ბოლოს ყველამ ვუწყით, ივლიანე განდგომილი, თუ როგორი მლვთის მგმობელი იყო და წარმართი ხელმწიფე შეიქმნა.

თუ გინდოდეს შეტყობა ავადმყოფი მორჩება თუ მოკვდება; აიღეთ ერთი ჭურჭლით ცივი წყალი და ნახევარი ავადმყოფს ასვით და ნახევარი შავს ძაღლს გადაავლეთ. ძაღლმა თუ წყალი გვიან შეიბერტყოს მოკვდება, თუ ადრე შეიბერტყოს, მორჩება.

გურულ-მეგრელი.

## სამეცნიერო ცნობა

სინათლე და მისი მნიშვნელობა ცხოველებზედ და მცენარებზედ. უსინათლოდ არც ერთს ცხოველს და არც ერთს მცენარეს არ შეუძლია გახაროს. კაცი, რომელიც სინათლეს მოკლებულია, გაყვითლებულია. მცენარე, სინათლეს მოკლებული, გამხმარია. ნაყოფი სინათლიანი (ე. ი. რომელსაც სინათლე აქვს) გემრიელია და კარგი ფერიც აქვს, ხოლო, რომელიც სინათლე მოკლებულია, უგემურია და უფეროც. ამ გვარი სინათლის მნიშვნელობა გაიგეს შემდეგ ნაირად: ერთმა ინგლისელ სწავლულმა კაცმა გააკეთა ორი კოლოფი და შიგ ჩაამწყვდია თორმეტ-თორმეტი თავ-კომბალები. (პატარა ბაყაყი) ერთს კოლოფს თავი დაუხურა, ისე რომ სინათლე არ შედიოდა, ხოლო მეორეს კი შუშა გაუკეთა, ისე რომ სინათლე შესდიოდა. ცოტა ხნის შემდეგ ამ სწავლულმა ახადა თავი კოლოფს. რომელსაც სინათლე შედიოდა, იმ კოლოფში ყველა გადაქცეულან ბაყაყებად, ხოლო, რომელსაც თავი დახურული ჰქონდა იმ კოლოფში ორის მეტი დახოცილან და ისინიც გაყვითლებულნი ყოფილან.

როგორი სახლი და ლამპაა კაცისა-

თვის იქნება სასარგებლო? კაცის საცხოვრებლად კარგი არის იმისთანა სახლი, რომელიც სდგას მაღლობ ადგილზედ, ქვეით უნდა შეუდიოდეს ჰაერი, ფანჯარა უნდა ჰქონდეს დიდ-დიდი და ბევრი, მიქცეული აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ და სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ხოლო ჩრდილოეთისკენ კარიც არ უნდა ჰქონდეს სახლს.

ლამპა უნდა იყოს კარგი მნათობი, პატრუქი უნდა ჰქონდეს მრგვალი, თავზედ უნდა ჰქონდეს კოპალი, რომელიც ჭვარტლს ზევით არ გაუშვებს; შუშა უნდა ჰქონდეს წელში შევიწროვებული; ეს იმიტომ რომ თუ ჭვარტლი კოპალს ასცილდა, შუშას მოხვდება და სწვავს ხოლმე; საჩრდილებელი უნდა ჰქონდეს ცისფერი, ანუ თეთრი, ქ. ი. გასაჭვრეტი.

### ქართველი კლასიკები

—

თა ოკდომბერსა იზ, წამება წმიდისა მოწამისა შუშანიკ დედოფლისა.

სიყვარულისა, საყვარელისად მცველად,
ბუნებით დედას, მამათაცა უმხნესსა,
აზარმაცითგან სტგინავს დედოფალსა,
შუშანიკ მსრბოლსა, სიძისად ზეცათასა
თვალებრ მეუღლე, მისი ეთემერო ზა.

—

წმ. მამისა ჩვენისა იოანე ზედაძნელისა.

—

მამათა თვალნი, მნათობნი ქართველთანი,
დიდნი მთიებნი, ასურით აღმომზენი,
მოციქულთ რიცხვნი, პართნის ქვა სპეკალნი,
მათ იოანე დიდი, კამბაების,
ზედა-ზადენს კიდებედ, ზენად ზეცისად იდგამს.

### გასართობი

—

ქალის დამორჩილებაზე. რა მიზეზია—ჰკითხეს ერთხელ გამოჩენილს მწერალს მილტონს, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში შესაძლებელია კაცი ტახტზე მეფედ ავიდეს თოთხმეტის წლისა და ცოლის შერთვა კი თექვსმეტი წლის ადრე არ შეუძლიანთო?!

— ეგ იმიტომაო,—მიუგო მილტონმა, რომ ბევრად ადვილია მთელი სახელმწიფო მართოს ადამიანმა, ვიდრე ერთი ქალი მორჩილებაში იყოლიოსო!..

### ბრძნული თქმულება

—

რამდენადაც სიტყვა ძვირია კაცო, იმდენად ნაკლებ სისულელის მთქმელია

✦ ის უფრო ადვილია, რომ ოცი კაცი დავარიგო, ვიდრე ის, რომ ამ ოცთაგანი ერთი მე ვიყო და მევე შევასრულო ჩემი დარიგება.

✦ წყალში მხოლოდ შენს სახეს დაინახავ, ღვინოში კი სხვის გულსაც.

## დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

6 აპრილი

**პარიზი.** ლუბემ შვეციის მეფის პატივ-საცემად სადილი გამართა, რომელზედაც მიწვეული იყო 70 კაცი.

სამასმა მუშამ, რომელნიც რკინის გზაზედ მსახურებდნენ, პირი შეჰკრეს და მუშაობაზედ ხელი აიღეს. მუშები სამუშაო ფასის მომატებას თხოულობენ.

**პარიზი.** პიკარი შემდეგ ჩვენებაში ამტკიცებს, რომ გონზი და ანრი ერთად სცდილობდნენ ყალბის საბუთის ქაღალდის გადაცემას სამინისტროში, იმ ქაღალდისას, რომელიც ანრიმ შეთხუზაო. იგი ამტკიცებს, რომ ის ცნობები, რაც „ბორდერო“-შია სხვა აფიცერთაც შეეძლოთ შეეძინათო.

**სტოკჰოლმი.** მარტინი დეპეშით ატყობინებს ნორდენშილდს კრასნოიარსკიდგან: „ციმბირის ტაიგაში ვიყავი. გზები გაუვალია. არც ერთი ტუნგუზი არ შემხვედრია. პირველი ხმა ანდრეს შესახებ დამყარებული იქმნა ქვა-მაღაროს პატრონის, იაკოვლევის ხუმრობაზედ. ლიალინმა დეპეშა მხოლოდ მაშინ გაგზავნა, როდესაც „ენისეის“ რედაქტორმა იაკოვლევის წერილის შინაარსი გადასცა. დღეს უკანვე მივდივარ“.

**პარიზი.** ხასიათის გამასწორებელმა სასამართლომ დაიწყო დღეს ლიგათა შესახებ საქმეების განხილვა. დაბარებულ იქმნენ დიუკლო, გრიმო და სხვანი.

7 აპრილი

**ხაბაროვსკი.** პეკინიდგან იუწყებიან, რომ იმპერატრიცას აზრადა აქვს მთელ იმპერიაში მთავარ მოხელეებად მანჯურელები დანიშნოსო.

**რეტიმნო.** კვირას ადმირალმა სკრიდლოვმა, ჯარისა, სამღვდელოებისა, მოსწავლეთა და ხალხის თანადასწრებით, დაურიგა ხელმწიფე იმპერატორის მიერ ნაბოძები მედლები „გულ მოდგინეობისათვის“ ზედ წარწერით იმ 17 მაჰმადიანს, რომელთაც 6 სექტემბერს დახმარება აღმოუჩინეს ჯავშნიან გემის „იმპერატორ ალექსანდრ“-ის ერთ ნავს, რომელიც ღელვისაგან ზღვაში იქმნა გადაბრუნებული. ამ საჩუქარს მთელის ქილაქის მაჰმადიანნი სიხარულით მიეგებნენ.

ოფიციალურ დეპეშით იუწყებიან, რომ კუნძულ გვადელუპის ქალაქ პუნტ-ა-პიტრეში ცეცხლისაგან განადგურებულ იქმნა 500 სახლი. ცეცხლი ჯერ ვერ ჩაუქრიათ. ჰფიქრობენ, რომ ცეცხლი ბოროტ გამზრახველთ წაუკიდესო.

**ვენა.** იმპერატორმა უბოძა სპარსეთის პრინცს ორდენი ლეოპოლდისა I ხარისხისა. დღეს პრინცი სადილად იმპერატორთან იყო.


# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой** мышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.**

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ уч** **заведеній.**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣ

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго началь**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ар тика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на сч 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (5 дачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинах втора: Михайловская ул., № 71.** (100—

## открывается подписка

на безцензурный

НАУЧНО-ЛИТЕРАТУРНЫЙ И ПОЛИТИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ

# „Начало“

Журналъ «Начало» будетъ выходить ежемѣсячными книгами од 3 чатныхъ листовъ и содержать, кромѣ беллетристическихъ произведеній ковъ, стихотвореній, научныхъ статей по всѣмъ отраслямъ знанія и с публицистическихъ, слѣдующіе постоянные отдѣлы: 1) внутреннее обо 2) обозрѣніе провинціальной жизни и письма изъ провинціи; 3) иностр обозрѣніе и письма изъ-за границы; 4) литературное и журнальное обо ніе.—Въ библіографическомъ отдѣлѣ журнала будутъ печататься подпис авторами рецензіи на вновь выходящія книги.

Въ ближайшихъ книгахъ будутъ помѣщены, между прочимъ слѣ произведенія: К. Баранцевичъ «Пожаръ» (разсказъ). В. Вересаевъ «Из нихъ встрѣчъ» (очерки).—Н. Гаринъ (Михайловскій) «Клотильда» (пов «Мессеръ Гвидо Кавальканти», разсказъ Анатоля Франса, въ перев. Ольденбурга.— Р. Гвоздевъ «Шаманъ» (разсказъ).— Н. А. Рубакинъ рошкино жертвоприношеніе» (Изъ воспоминаній голоднаго года).—З. герсена «М. Метерлинкъ».— С. ф. Ольденбургъ «Есть ли буддизмъ ре ссимизма?».— В. Г. Михайловскій «Развитіе русскаго земледѣлія въ XIX В. А. Іоновъ «Что такое „оскудѣніе центра“?»—А. Е. Лосицкій «Неу 1898 года».— Л. А. Кирилловъ «Неземледѣльческій отходъ крестьянск селенія» М. И. Туганъ-Барановскій «Споры о Фабрикѣ и капитализм имъ критикамъ).—П. Б. Струве «Основные моменты въ развитіи крѣп го хозяйства въ XIX в. въ Россіи».—П. П. Масловъ «Заработная плата и въ русскомъ земледѣліи».—Г. Зиммель «Задача соціологіи», перев. Б. А. тяковскаго.

Въ журналѣ принимаютъ участіе слѣдующія лица: Б. В. Авило С. Баранцевичъ, С. Н. Булгаковъ, З. А. Венгерова, проф. В. И. Вер проф. К. А. Вернеръ. В. В. Вересаевъ А. Э. Вормсъ, Н. Гаринъ (Н. Михайловскій), Р. Гвоздевъ, М. О. Гершензонъ И. А. Гурвичъ, М. И. вичъ, В. Э. Денъ, В. И. Ильинъ, В. А. Іоновъ, А. М. Калмыкова, Кирилловъ, Л. Ф. Крживицкій, А. А. Корниловъ, Б. А. Кистяковск В. Крестовская, проф. Д. Н. Кудрявскій, А. Е. Лосицкій, П. П. Ма В. Г. Михайловскій, Н. К. Муравьевъ, А. А. Никоновъ, кн. В. А. О кій, проф. Д. Н. Овсянико-Куликовскій, И. Х. Озеровъ, проф. С. Ф денбургъ, В. В. Португаловъ, Н. А. Рубакинъ, А. А. Санинъ, В. Л. шевскій, П. Б. Струве, П. Ф. Тегловъ, В. Ѳ. Тотоміанцъ, М. И. Барановскій, С. Л. Франкъ, В. Я. Яковлевъ (В. Богучарскій). А. И. Ярошк

### УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

| | |
|---|---|
| Подписная цѣна съ доставкой и пересылкой на годъ . . . | 10 р. |
| « » « « « « « полгода . . . | 5 « |
| « « « « « « « три мѣсяца . . | 2 « |
| « « « « безъ доставки и пересылки . . | 9 « |
| « « « съ пересылкой за границу на годъ . . | 12 « |

Принимается подписка въ главной конторѣ журнала: Малая Италья . 5 кв. 25 и въ отдѣленіяхъ конторы: въ библіотекѣ Черкесовой ( Поповой), Невскій, 54, и въ книжномъ складѣ А. М. Калмыковой, Литейны

(10—7) Редакторъ-издательница **А. А. Воейко**


Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Апрѣля 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“) ვ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი მ. შ